

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
ფიზკულტურისა და სპორტის საქართველოს კომიტეტისა და პროფკავშირთა  
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
Орган Комитета по делам физической культуры  
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и  
Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 4 (392)  
პარასკევი  
27  
იანვარი  
1950 წ.  
ფასი 30 კპ.

## არჩევნებს — ლიტერული შეხვედრა!

ჩვენს სამშობლოში ფართო მზადებაა გაშლილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ღირსშესანიშნავ დღეს — 1950 წლის 12 მარტს საბჭოთა მშრომლები ახალი მაღალი მიღწევებით შეხვედებიან ამის საწინდარად ის უდიდესი ენთუზიზმით, პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომელიც მძლავრად აწვრილებს ფაბრიკებსა და ქარხნებში, ტრანსპორტზე და ახალ მშენებლობებზე, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში.

არჩევნები ერთხელ კიდევ თვალნათლივ დადასტურებენ, რომ სტალინური კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, არის ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია მსოფლიოში, ჩვენი ხალხის გულწინადობისა და მიზნების მტკიცე გამოხატულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნების წინ, 1937 წლის 11 დეკემბერს ამხანაგი სტალინი ამოწმებდა გენიალურად განუმარტავდა: „მომავალი არჩევნები — ეს უბრალო არჩევნები როდია, ამხანაგებო. ეს მართლაც ჩვენი მუშების, ჩვენი გლეხების, ჩვენი ინტელიგენციის საყოველთაო სახალხო დღესასწაულია. გვარ არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები, არასოდეს ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი“.

დიდი ბელადის ეს სიტყვები ნათლად დადასტურდა არჩევნების პერიოდში, როდესაც მთელმა საბჭოთა ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, უსაზღვრო ენთუზიზმით და აღტაცებით, ხმა მისცა თავის საუკეთესო წარმომადგენლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი არჩევნების შემდეგ განვლილმა ოთხმა წელიწადმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ქვეყნის ძლიერება. ამ წინსვლის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწია.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საბჭოთა ხალხი ახალი ძალით ამუშავებდა თავის უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, მშრომელთა გენიალური ბელადის ი. ბ. სტალინისადმი.

ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის ფერხულში აქტიურად არიან ჩაბმულნი საბჭოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები. საწარმოთა ფიზკულტურელები, დამბიან რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოვიურ ვახტანგზე, პირნათლად ასრულებენ გადამდებულ ვალდებულებებს. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები ახალი რეკორდებით შეხვედებიან არჩევნების დღეს — 12 მარტს.

არჩევნებს — საუკეთესო სპორტული მომსახურება! აი დევნი ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისა. ამ დღეებში საქართველოს ალკ კენტრალურმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებმა მიიღეს დადგენილება არჩევნებში კომპლექსური და ფიზკულტურული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. ეს დადგენილება გვიჩვენებს, თუ როგორ დიდი ღვაწლის შეტანა შეუძლიათ ფიზკულტურელებს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებაში.

კომპლექსური და ფიზკულტურული ორგანიზაციების ვალია პირნათლად შეასრულონ მათე დაკისრებული მოვალეობანი, ახალგაზრდული ენერჯითი, აქტივობითა და გატაცებით იმუშაონ არჩევნების დღის ღირსეულად შეხვედრისათვის.

## საუნიომ-სამგლოვიარო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში, მიძღვნილი 3. ი. ლენინის გარდაცვალების 26 წლისთავისადმი

საბჭოთა ხალხმა და უცხო ქვეყნების მილიონობით მშრომელმა აღნიშნეს ბოლშევიკების დიდი პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლისა და ბელადის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების 26-ე წლისთავი.

ლენინის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში საბჭოთა ადამიანებმა აღნიშნეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სსოვნა და ფიქრით გადაავლეს თვალი იმ საგმირო გზას, რომელიც ჩვენმა სამშობლომ ამ წლებში გაიარა.

21 იანვარს სსრ კავშირის დიდ თეატრში შედგა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რსდსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო და საქალაქო საბჭოების, საკავშირო ალკ კენტრალური კომიტეტის, საკავშირო ალკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის საუნიომ-სამგლოვიარო სხდომა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების 26-ე წლისთავისადმი.

6 საათი და 50 წუთია. პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერიანი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. თ. შკრიბატოვი. პრეზიდიუმში არიან აგრეთვე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბელადი ან. მთაქ-დუნი და ჩინეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ან. ჯოუ ენ-ლი.

შეკრებილი მსურველები, სულითა და გულით მიესალმებიან ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს ამხანაგ სტალინს. დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში, რომლითაც სხდომის მონაწილენი გამოხატავენ დიდ სიყვარულსა და მადლობას საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადისადმი.

თავმჯდომარე ან. მ. შვერნიკი დამსწრეთ მიმართავს მოკლე სიტყვით.

## გუდაკათის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ბულგარეთის კომპარტიის და მშრომელთა დრმა თანაგრძობას უცხადებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი ხელმძღვანელის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, მტკიცე რევოლუციონერის — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვასილ კოლაროვის გარდაცვალების გამო.

ან. კოლაროვის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარელი ხალხისათვის, რომლის ინტერესების დაცვასაც მოახმარა მთელი თავისი სიცოცხლე ან. კოლაროვმა.

საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, გიორგი დიშაროვიც უახლოესი თანამებრძოლი, ან. კოლაროვი თანმიმდევრულად იცავდა ინტერნაციონალიზმის საქმეს და დაუღალავად იბრძოდა იმპერიალისტური რეაქციისა და მისი აგენტურის წინააღმდეგ, იყო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის აქტიური მებრძოლი.

ან. კოლაროვის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ყველა მებრძოლის შეგნებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგებო! დღეს შესრულდა დიდი რევოლუციონერის, გენიალური მოაზროვნის, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ორგანიზატორის, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების 26-ე წელი.

გთხოვთ ფეხზე აღვდგეთ აღნიშნულ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხსოვნა. (სრული დემოლით ყველანი ფეხზე დგებთან).

მთელი თავისი მჩქეფარე სიცოცხლე ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა მოახმარა კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლებისაგან მუშათა კლასისა და გლეხობის განთავისუფლებისათვის ბრძოლას, პროლეტარული სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარატის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლას.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ ბოლშევიკურმა პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით მალა აღმართა მარქსისტულ-ლენინური დროშა და ჩვენი ქვეყანა წაყვანა ლენინური გზით ახალ-ახალ გამარჯვების მისაპოვნელად.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მომავალში იცვლის ლენინური გზით კომუნისტური გამარჯვებისაკენ (მქუხარე ტაში).


სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ან. მ. შვერნიკი.

ან. შვერნიკი ამხანაგებს იმ გზას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ლენინის დროშით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით განვლო 26 წლის მანძილზე.

ან. შვერნიკი მოხსენებს ამთავრებს და დღევანდლობას უსურვებს ლენინ-სტალინის დიდ და ძლიერად აღამაღებს, ლენინ-სტალინის გმირ პარტიას, დიდ საბჭოთა ხალხს, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლთ, დღევანდლობას უსურვებს საყვარელ ბელადს, მამასა და მასწავლებელს, კაცობრიობის ნათელ განიას, რომელსაც საბჭოთა ხალხი მიჰყავს კომუნისტური გამარჯვებისაკენ — ამხანაგ სტალინს.

ამ სიტყვებს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან და მსურველები მიესალმებიან ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

სხდომის მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით მიტრიაან პარტიულ ჰაიმს „ინტერნაციონალს“ (საკლესი).



თვლამ ხალხმრავალი გახდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის უღამა-ზეხი ქუჩა — სტალინის სახელობის სანაპირო. მტკვრისპირის მაგისტრალის თოვლიან ბილიკებზე გამოჩნდნენ მეთხილამურენი და მეცივარენი. გასულ კვირას აქ უმაღლესი სასწავლებლების მეთხილამურე სტუდენტთა და ნახშირველთა დიდმა ჯგუფმა საინტერესო ლაშქრობა ჩატარა. გამართა შეჯიბრება მარულაში, რომლის ტრასა ფიზკულტურელების პარკთან ი. ბ. სტალინის მონუმენტამდე გადიოდა. სურათი: ლ. ბ. სტალინის მონუმენტი.

## 3. ი. ლენინის გარდაცვალების XXVI წლისთავისადმი მიძღვნილი საუნიომ-სამგლოვიარო სხდომა თბილისში

21 იანვარს — ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 26 წლისთავის დღეს — თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ ზ. ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. აქ იყვნენ საწარმოთა საუკეთესო მუშაკები, სამაშულო ომის გმირები, ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი ადამიანები, რომლებიც უმაგალითო თავდადებითა და აღმაჯობით იბრძვიან სოციალისტური სამშობლოსათვის, ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის, ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის დიდი სტალინის მითითებითა შესრულებისათვის; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

საღამოს 8 საათია. აიხანა ფარდა. პრეზიდიუმის მაგიდას უხსდნენ ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამი, ა. თოფურიძე, რ. შაფერი, ე. ცხოვრებაშვილი, ვ. ბაქრაძე, გ. ზამბახიძე, მ. ლელაშვილი, ი. კოკლამაშვილი, ნ. რუხაძე, ს. იშხანოვი, ე. კარანაძე, ი. ზოდელავა, ე. ჩერქეზია, თ. ქვლეტიძე, ა. ჯიშიაშვილი, გ. ქარჩავა, მ. ბალაგაძე, გ. ჯავახიშვილი, ნ. გაბუნია, პარტიის თბილისის რაიკომების მდივნები, მინისტრები, მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საუნიომ-სამგლოვიარო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გარნიზონის წარმომადგენ-

ლებთან ერთად, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXVI წლისთავისადმი, გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ან. მ. ლელაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მდივანმა ან. გ. ჟორჯიაშვილმა წინადადება შეიტანა სხდომის საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

მქუხარე ტაშითა და იგაციით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით.

მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ან. მ. ბარამიანს.

მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის მიერ გავლილი გმირული გზის შესახებ, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში იმ დიდ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა სამშობლომ ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ლენინ-სტალინის პარტიის დადი დროში, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით. ან. მ. ბარამიანს დაწვრილებით დაახასიათა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები დღის დიდი ამოცანები, რომლებიც დგანან ახლ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს ბოლშევიკების წინაშე.

მოხსენების შემდეგ სხდომის მონაწილემ დადი აღფრთოვანებით და მქუხარე ტაშით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

საუნიომ-სამგლოვიარო სხდომის შემდეგ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა დამსწრეთ უჩვენა ისტორიულ-რევოლუციური ეპოპეა — „1917 წელი“.



# კანონი

## სტარტზე ახალგაზრდობა



ჭუთაისში დიდი თოვლი მოვიდა. სპორტული ზამთრის სიხალისე სუფევდა მუხნარის ტყეში, სადაც ამას წინათ გათამაშდა ქალაქის მეთხილამურეთა პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო საავტომობილო ქარხნის მშენებლობის, აბრეშუმსაქსოვი კომბინატისა და სხვა საწარმოების ოცდაათმა ფიზკულტურელმა. კვირას აქ კვლავ ჩატარდება ქალაქის სპორტულ საზოგადოების მეთხილამურეთა შეჯიბრება. **სურათში:** ავტოქარხნის მშენებლობის სტანანოვილი მუშა კომპაგნირელი გივი ლუგლაძე ათკილომეტრიანი მარულის ტრასაზე. ფოტო პ. ლუციუციოსი.

### ორი ახალი გრამფონი

**ჯამა.** იდელობრივი ახალგაზრდობა დიდი გატაცებით მეცადინეობს სათხილამურო სპორტში. ამას წინათ აქ გაიხსნა ორი ახალი 10 მეტრიანი ტრამპლინი. საუკეთესო მეთხილამურეები მწვრთნელების ტრეინინგსა და სანაკიების ხელმძღვანელობით სისტემატურ წვრთნას აწარმოებენ ტრამპლინიდან ტრომებში.

ფ. კიქნაძე

## სპორტული ეთიკის შესახებ

### კა მოსლავს ახანაგოვის დაუფასებლობას, ვენდის ინჰაგისაგან უფლებალყოფას

შირი ჩემპიონისათვის შეუფერებელი ჩაიარდა. ამგვარად, ა. ჯორჯაძემ კოლექტივის ინტერესზე მალა დააყენა პირადი ინტერესი, რითაც იგი გუნდს გაემიჯნა და არ დაეხმარა მას უკეთესი შედეგების მოპოვებაში. აქვე აღსანიშნავია ზოგიერთი მომენტის, რომლებიც უარყოფითად ახასიათებენ ახ. ჯორჯაძეს. მაგალითად, შეჯიბრების წინა დღით უკრაინულ გუნდს „არდიანსკი სპორტში“ ახ. ჯორჯაძის, თაყიშვილისა და სანებლობის ხელმოწერით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც სხვებთან ერთად ახ. ჯორჯაძე პირობას იძლეოდა, რომ მთელი ძალით იბრძოლებოდა საბატიო იდეისათვის. საოცარია ერთი რამ. თუ მას არ შეეძლო შეჯიბრებაში მონაწილეობა, მაშინ რა საჭირო იყო ასეთი მალაფარდოვანი გამოსვლა მომეჩვენებოდა. ასევე საოცარია ისიც, რომ ტურნირის დაწყების წინ მან მონაწილეობა მიიღო ტანმოვარჯიშეთა პარადში და საქართველოს გუნდის სახელით მისალმებელი სიტყვა წარმოთქვა, ხოლო შემდეგ გულცივად მიატოვა ამხანაგები — თავისი რესპუბლიკის გუნდის წევრები.

ყველაფერი ეს და მთელი რიგი სხვა ფაქტები, რომელთა მოყვანა გუნდის ფურცლებზე უხერხულად მიგვაჩნია, სრულ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა მოსდევს საქუთარი ძალის გადაფასებას, ამხანაგების მიმართ სრულ უპატივისცემლობას, გუნდის ინტერესების უგულვებელყოფას — ჩვენთვის, რომლებიც არ უნდა ახასიათებდეს საბჭოთა სპორტსმენს, მით უმეტეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, რომლის მაგალითზე უნდა იბრძოდნენ რიგითი ფიზკულტურელები.

## ჩვენს კვლევებში

### მეცნიერების რეაქსია პი კპარა

ზუგდიდის რაიონის ზოგიერთ სკოლაში ფიზკულტურულ მუშაობას სათანადო ყურადღება არ ექცევა. საოფელ ჰეალდის მ-წლიან სკოლაში, მართალია, ჩამოყალიბებულია ფუნდამენტური და კალათბურთის წრეები, მაგრამ ფაქტურად აქ არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ. სკოლის დირექციამ დღემდე ვერ შეძლო სპორტული მოედნის მოწყობა. სკოლაში დაბალ დონეზე დგას მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმე. მოსწავლე ახალგაზრდობა დანტერესებულია სპორტის სხვადასხვა სახით, მაგრამ ამ სურვილის დაკმაყოფილებაზე არაფერს იტყობს. ასეთივე მდგომარეობა სოფელ ჯინასკარის საშუალო სკოლაში. ფორმალურად აქაც არსებობს სხვადასხვა სახის ფიზკულტურული წრე, მაგრამ არც ერთი არ მუშაობს. მოსწავლეებს არ გააჩნიათ სპორტული მოედანი.

### ა. ალშიგაია ზუგდიდის რაიონი.

### ლაზარევი მოუწყობა

ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის საუკეთესო შენობა გააჩნია სპორტულ დარბაზისათვის, მაგრამ მისი კეთილმოწყობა რატომღაც დღემდე შეჩერებულია. მოუწყობელ დარბაზში უხალისოდ ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილები.

საჭიროა აქარის ასსრ განათლების სამინისტრომ დაავალდებულოს ქალაქის განათლების განყოფილება, რათა წესრიგში იქნას მოყვანილი მე-6 საშუალო სკოლის სპორტდარბაზი — შეუიღებელი პირობა სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისათვის.

### ზ. ბაჯალია

ბათუმი.

—ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული სუფევსო, ნათქვამია. ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად დიდი სტალინის ყურადღებისა და სპორტული მტკიცედ დამკვიდრებისა და მზრუნველობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში იზრდება ძლიერი, ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა თაობა... ფიზიკური კულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში; იგი სოციალისტური კულტურის ორგანული ნაწილი გახდა.

ახალი ფერადი კინონარკვევი „სპორტული დიდება“ დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ფიზკულტურული მეცადინეობა არა მარტო ამაგრებს ორგანიზმის ჯანმრთელობას, არამედ ადამიანში იმუშავებს ნებისყოფას, უნარს სიმძლეოთა გადასაღწავლად დასახული მიზნის მტკიცედ მიღწევასათვის, სპორტი ადამიანში ამტკიცებს გამარჯვებისადმი რწმენას.

სტარტზე ახალგაზრდობა — კუნთ-მაგარი, მტკიცე ნებისყოფის მქონე, სიცოცხლით სავსე. ახალი ფილი მთავიზრბობს, თუ რაოდენ მრავალფეროვანია სპორტი ჩვენს ქვეყანაში. სურათში კარგადაა გადაღებული კალათბურთის თამაშის მომენტები, მოფარევეთა ტურნირი, შეხვედრები ჩოგბურთის კორტებზე, შეჯიბრებები სარბენ და წყალგაძრავების ბილიკებზე, მოტოციკლისტების მარულა, ორთაბრძოლა რინგებზე და სხვ.

... ვიღვარებო რაუა ბინდებდა, წყნარ ლეკვანზე უკვე გათენებულა. იალქნიანი გემის ბაქანზე იმყოფებიან ვლადივოსტოკელი სტუდენტები, გემს მართავენ საზღვაო სასწავლებლის აღსაზრდელები. შორეული ტაიგისაკენ მიემართებიან ტურისტები. მათ გეზი აუღიათ ცისფერი ტბებისაკენ, რომლებიც მთებსა და გუმბათი მდინარეების იქით მდებარეობენ.

ყოველ წლებით სულ უფრო მეტი მამაცი ადამიანი აღწევს მიუწვდომელ მწვერვალებსა; ჩვენს ქვეყანაში ალპინიზმი შეუწინაღებლად ვითარდება. აი საქართველოს ცხენოსანთა დღესასწაული... 8 კილომეტრიანი მარულა. ვინ აიტაცებს გამარჯვების ალამს? იგი ნორჩმა ცხენოსანმა ა. მისაიამ მოიპოვა. გამართა უძველესი თამაში — ჩოგანბურთი. თვითელი მხედარი ისწრაფის ბურთი მოწინააღმდეგის კარში მოაქციოს... ამ დროს მოედანზე გაჩაღებულია მეორე ძველი ქართული თამაში — ისინდი. მინდარი ეწევა მოწინააღმდეგეს და გატყორცნილ ისინდს მოხდენილად არტყამს მას.

ტულაში, დიდი ველომარულის დღეებში, აუწყრელი გამოცატდება სუფევს. ტულელები ხედიბან მოსკოველ, ლენინგრადელ, კიეველ და თბილისელ სპორტსმენებს.

„სპორტული დიდება“ — ფერადი დოკუმენტური ფილმი. სცენარი და ტექსტი ლ. ბროსლავსკისა, ვ. ვიქტოროვისა და ს. ნარინიანის რეჟისორი ლ. კრიხტი, მთავარი ოპერატორი ვ. ეშურიანი. ცენტრალური დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოები, 1949 წ.

ფოტო ლ. დორენსკისა (საკლესი).

წყალგაძრავობის ბილიკებზე არიან საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები და რეკორდსმენები ვ. უშაკოვი და ლ. მეშკოვი. თვალწარმტაცია საუკეთესოთა შეხვედრა. უძლიერესთა ასპარეზობაში იბადება ახალი რეკორდები.

ვინცის ოქის კოლმეურნეობის „ხუთწლიანი თხზვლებში“ სტალინზე შეჯიბრების მონაწილეთა წინაშე გამოდიან სპორტის ოსტატები.

ფილიპინი კულტურის თერთმეტი ინსტიტუტი ამხადებს პედაგოგებს, მეცნიერ მუშაკებს, მწვრთნელებს... მათ ევალბათ აღზარდონ საბჭოთა სპორტსმენების ახალი თაობა. მეცნიერება ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის სპორტულ დიდების გამარჯვებას.

აი კადრები კინონარკვევისა. ფილმში ნაჩვენებია სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა მატჩი. ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვებას მიიღწია ჩვენი ქვეყნისა და ევროპის რეკორდსმენმა ნ. კარაკოლოვმა. დიფიკუ ქალთა შეჯიბრება 100 მეტრზე სრინოვასა და ჩეხოსლოვაკელ ო. შიციწოვას შორის. სრინოვა თავის მოწინააღმდეგეს 0,1 წამით ჩამორჩა, მაგრამ 200 მეტრზე რბენაში მან რეკანში აიღო. მოედანზე გამოდის ნ. დუმბაძე — მსოფლიო რეკორდსმენი, უდიდეს შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებული... ლენინგრადელმა ნ. სმირნიცკიამ გასტყორცა შუბი. შურდულივით გაისრიალა ბაერში შუბმა და მიწაში დაეკრუ. სმირნიცკიამ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა!

სპორტსმენთა წარმატებები ახარებს და აინტერესებს საბჭოთა ადამიანებს. ფუნდამენტური დიდი მატჩების დღეებში სტალინები ვერ ტრევენ მაყურებლებს. ლეკვანზე ტრევენები ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლექტივის — მოსკოვის „დინამოსა“ და უნგრეთის „გაშაშის“ გუნდის შეხვედრის მოლოდინში. აი, მოედანზე გამოდიან ფუნდამენტური. ეს იყო მეტად საინტერესო და ამოღებულე თამაში. 5:0! „დინამოს“ შესანიშნავი გამარჯვებით დამთავრდა ეს მატჩი.

ეკრანზე გამოჩნდება ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი — პრაღა. ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელები მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობენ. საბჭოთა ვაჟთა და ქალთა გუნდებმა დაამარცხეს ათეული ქვეყნის საუკეთესო გუნდები და დემსაშობლოს ახალი ბრწყინვალე საჩუქარი უძღვეს.

მეგობრული, კოლექტიური თამაში, უმწიველო ტექნიკა და მოქნილი ტექტიკა, ურყევი ნებისყოფა გამარჯვებისადმი — აი ჩვენი მშობლიური სპორტის დამახასიათებელი ნიშნები.

სტალინურ ახალგაზრდობას მალა უჭირავს თავისი ქვეყნის სპორტული დიდების დროშა. სპორტის ოსტატებს თან მიჰყვება საბჭოთა ფიზკულტურელები — კომუნისმის მშენებელთა მრავალმილიონიანი არმია, რომელიც მზადაა შრომისა და ჩვენი საყვარელი სამშობლოს დაცვისათვის!

**ლ. ნინიძე**



უადრესად გულთბობ დ მეგობრულ ვითარებაში ტარდება სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპორტსმენთა შეხვედრები. ამ მეგობრობის ერთ-ერთი ახალი გამოვლინება იყო საბჭოთა და ჩეხოსლოვაკელ მძლეოსანთა შეჯიბრება მოსკოვში, რომლის შესახებაც მოგვითხრობენ კადრები ფილმიდან „სპორტული დიდება“. **სურათში:** სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა ერთი ჯგუფი.

